



**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს სხდომის
ოქმი N6**

ქ. ლანჩხუთი

17. 05. 2018 წელი

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვლადიმერ ნანაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვიციანი, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ემზარ თევდორაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე ბესიკ კუპრაძე, საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“ თავმჯდომარე ლელა ჩახვაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველები“-ს თავმჯდომარე სპარტაკ კვაჭაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარე ზაზა წულაძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამემწე გიორგი ხელაძე, საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიმიგური. საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საორგანიზაციო განყოფილების უფროსი) ნანა ზუგუაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში ია მოქია, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მაია კუპატაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი მამუკა ვადაჭკორია, მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ლევან ჩხაიძე, მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების

სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი ელიკო იმნაძე, მედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა, **ვლადიმერ ნანაძემ** აღნიშნა, რომ დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ მერიიდან შემოვიდა საკითხი. მან მოუწოდა ბიუროს წევრებს აღნიშნული საკითხი დამატებოდა დღის წესრიგის პროექტს.

მომხრე 8 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა, **ვლადიმერ ნანაძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტის შესწორებული ვარიანტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი ე. იმნაძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გადახდის ინსტრუქციის, დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 ივლისის N34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი გ. ჩახვაძე/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 სექტემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი ვ. კვირკველია/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის“ წოდების შემოღებისა და მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 თებერვლის №11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი ვ. კვიციანი/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ელექტრონული საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 30 ივნისის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი ვ. კვიციანი/

6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2018 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი ლ. ჩხაიძე/

7. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N39 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი მ. ვადაჭკორია/

8. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი რ. ლაშხია/

9. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის N54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი რ. ლაშხია/

10. სხვადასხვა საკითხები.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით ბიუროს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა, **ვლადიმერ ნანაძემ** კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

მომხრე 8 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყებამდე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ იმსჯელა საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღის შესახებ.

საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვრა 2018 წლის 31 მაისი, 11:00 საათი.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა სამტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსმა, **ელიკო იმნაძემ**. მან აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნული დადგენილების ცვლილების პროექტი მომზადდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის, ლევან ჩხაიძის 2018 წლის 17 აპრილის N444 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, რომელიც მიიჩნევს, რომ მისი სამსახურის დაქვემდებარებაში არსებული მეორადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურის განყოფილების, მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროს სპეციალისტს (წამყვან სპეციალისტს) აქვს მუშაობის დატვირთული გრაფიკი. შესაბამისად, ითხოვს მოხელის კარიერულ განვითარებას (იმავე იერარქიულ რანგში დაბალი თანამდებობიდან მაღალ თანამდებობაზე გადაყვანა) და აღნიშნული სამტატო პოზიციის შეცვლას მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის (მთავარი სპეციალისტი) პოზიციით.

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა სამტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია და საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია.

2. დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიასა და ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება - კონსერვატორები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ქართული ოცნება - მწვანეები“, „ლანჩუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“.

3. პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 მაისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი ელიკო იმნაძე.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა, ვლადიმერ ნანაძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

მომხრე 8 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე: „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გადახდის ინსტრუქციის, დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 ივლისის N34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, **გიორგი ჩახვამემ**. მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ცვლილებები არის ტექნიკური ხასიათის, რომლის მიხედვით, „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გადახდის ინსტრუქციის, დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 ივლისის N34 დადგენილებაში (ვებგვერდი 10/08/2015წ, სარეგისტრაციო კოდი: 210020020.35.112.016235) შეტანილ იქნას შემდეგი სახის ცვლილებები:

ა) დადგენილების მე-11 მუხლის „ა“ პუნქტით დამტკიცებული „დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქცია“ დანართი N1-ის 1-ლი მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ხელშეკრულების გაფორმებას ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან და მოსაკრებლის ამოღებას უზრუნველყოფს მერიის დაქვემდებარებაში არსებული ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი“, რომლის შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური.

ბ) დადგენილების მე-11 მუხლის „ა“ პუნქტით დამტკიცებული „დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქცია“ დანართი N1-ის მე-3 მუხლის მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. ქვეთარი შენახული უნდა იქნეს ერთი წლის განმავლობაში. ქვეთარის დაკარგვის შემთხვევაში მის აღდგენას დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე ახდენს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახური.“

გ) დადგენილების მე-11 მუხლის „ა“ პუნქტით დამტკიცებული „დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქცია“ დანართი N1-ის მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს

შემდეგი რედაქციით:

მუხლი 7. კონტროლი მოსაკრებლის გადახდევინებისთვის

დასუფთავების წესების დარღვევაზე და დამრღვევთა მიმართ „ნარჩენების მართვის კოდექსით“ გათვალისწინებული ნორმების განხორციელებაზე კონტროლი ეკისრება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურს.“

დ) დადგენილების მე-11 მუხლის „ბ“ პუნქტით დამტკიცებული „დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ნარჩენების განკარგვის წესი“ დანართი N2-ის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. დაგვა-დასუფთავების ობიექტების ჩამონათვალს ადგენს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია.“

ე) დადგენილების მე-11 მუხლის „გ“ პუნქტით დამტკიცებული „დაწესებულებებისათვის, ორგანიზაციებისათვის, ინდივიდუალური მეწარმეებისა და იურიდიული პირებისათვის დაწესდეს

დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი და მისი ოდენობა“ დანართი N3-ის 26-ე

გრაფა ამოღებულ იქნას.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, **გიორგი ჩახვაძის** თქმით, წლების განმავლობაში დასუფთავების მოსაკრებლის ის ოდენობა, რომელიც დაგეგმილი იყო ადგილობრივი ბიუჯეტის მიხედვით, არ სრულდებოდა. გასულ წელს შემოვიდა გათვალისწინებული თანხის მხოლოდ 67 %. აქედან გამომდინარე, საკრებულოს კომისიებსა და ფრაქციებში წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით საჭიროა გულდასმით მსჯელობა, რადგან ერთხელ და სამუდამოდ დაიხვეწოს და მოწესრიგდეს აღნიშნული საკითხი.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარე, **ზაზა წულაძე** დაინტერესდა, რატომ არის თანხის ამოღებასთან დაკავშირებით პრობლემა და რა მექანიზმი არსებობს მის მოსაწესრიგებლად.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, **გიორგი ჩახვაძემ** აღნიშნა, რომ მესამე წელია, რაც

მუნიციპალურ ბიუჯეტში განსაზღვრულია დასუფთავების მოსაკრებელი. საუბარია მიზერულ თანხაზე. ერთ სულ მოსახლეზე განსაზღვრული იყო 50 თეთრი. ოჯახი, რომელიც შედგება 5 და მეტი წევრისგან, იხდიდა 2 ლარს, მაგრამ დღემდე თანხის ამოღება მაინც პრობლემას წარმოადგენს. ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან იყო მოთხოვნა, რომ დასუფთავების მოსაკრებელი მიზმული ყოფილიყო შუქის გადასახადზე, რაზეც ენერგო-პრო-ჯორჯის მხრიდან მიიღეს უარი. საკრებულოს წევრის თქმით, აუცილებელია ამ კუთხით სიღრმისეული მსჯელობა, რათა საბოლოოდ მოიძებნოს და დაიხვეწოს საკითხის მოგვარების მექანიზმი.

მუნიციპალიტეტის მერის, **ალექსანდრე სარიშვილის** თქმით, ასევე დასაწყებაა სამუშაოები წყლის გადასახადთან დაკავშირებით. სასმელი წყლის ტარიფს „სემეკი“ არ ადგენს, ამიტომ მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ გასაგზავნი იქნება წერილი. სავარაუდოდ, ეკონომიკის სამინისტროსთან შემუშავებული და შეთანხმებული უნდა იქნას ტარიფი. წყლის მრიცხველების დამონტაჟება თითქმის იგივე ჯდება, რაც წყლის სისტემის რეაბილიტაცია-გაყვანა, მაგრამ გადასახადი დადგენილი არ არის. გამოდის, რომ მათი გაკეთება ხორციელდება ტყუილ უბრალოდ. რაც შეეხება, ტექნიკურ წყალს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ეკონომიკის სამინისტროში გაგზავნილი წერილის საფუძველზე შესაძლებელი იქნება გადასახადის ტარიფის დადგენა.

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გადახდის ინსტრუქციის, დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 ივლისის №34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.
2. დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, ქართული ოცნება - კონსერვატორები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ქართული ოცნება - მწვანეები“, „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“.
3. პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 მაისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა, ვლადიმერ ნანაძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

მომხრე 8 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხზე: „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 სექტემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **ვერიკო კვიციანიამ**. მან აღნიშნა, რომ „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 სექტემბრის №30 დადგენილებაში (ვებგვერდი 02/10/2015წ, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.112.016312) შეტანილ იქნას შემდეგი სახის ცვლილებები:

ა) დადგენილების მე-2 მუხლით დამტკიცებული „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულება“ დანართი N1-ის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. საბჭოზე გასატან საკითხებს ამზადებს და დღის წესრიგის პროექტს ადგენს საბჭოს მდივანი, რომელიც თანამდებობრივად არის ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განსაზღვრული მერიის გენდერული თანასწორობის საკითხებში პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე.“

ბ) დადგენილების მე-2 მუხლის დამტკიცებული „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულება“ დანართი N1-ის მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 5. საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი და ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განსაზღვრული გამგეობის გენდერული თანასწორობის საკითხებში პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე.“

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ ჩამობრძანებული იყო ორი ქალბატონი, რომლებიც მუნიციპალიტეტებში ითხოვენ გენდერთან დაკავშირებით ერთ შტატს და არა მოვალეობის დაკისრებას რომელიმე თანამშრომელზე და თუნდაც, თანაშემწეზე. ეს პიროვნება სავარაუდოდ, უნდა იყოს შტატში და არა ხელშეკრულებით აყვანილი, რომელიც თავიდან ბოლომდე იმუშავებს მხოლოდ გენდერთან დაკავშირებულ საკითხებზე. ასევე, მათ უნდა გამოეყოთ ოთახი, რომელსაც დაერქმევა „ქალთა ოთახი“ და მის მოწყობას ესაჭიროება 11000 ლარი, რაც მუნიციპალიტეტის მერის თქმით, მიმდინარე წელს ვერ მოხერხდება. რაც შეეხება შტატს, დაფიქრდებიან, რადგან ყველა მუნიციპალიტეტი ჩართულია ამ საქმეში.

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე, **ვერიკო კვიციანია** დაინტერესდა, რატომ უნდა ეწოდოს „ქალთა ოთახი“, როცა საკითხი ეხება გენდერს.

მუნიციპალიტეტის მერის თქმით, ამასთან დაკავშირებით ქალბატონებისადმი შეკითხვა მასაც გაუჩნდა.

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 სექტემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.

2. დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, ქართული ოცნება - კონსერვატორები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ქართული ოცნება - მწვანეები“, „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“. 3. პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 მაისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვიციანი.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა, ვლადიმერ ნანაძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

მომხრე 8 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის“ წოდების შემოღებისა და მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 თებერვლის №11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, ვერიკო კვიციანი.

მუნიციპალიტეტის მერმა, ალექსანდრე სარიშვილმა მიმართა ბიუროს წევრებს, რომ თუ ყველას სურვილი იქნება, 26 მაისს მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ყველა იმ ვეტერანს, რომლებიც დღეისთვის ცოცხლები არიან, მიენიჭოთ „საპატიო მოქალაქის“ წოდება.

საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“ თავმჯდომარის, ლელა ჩახვამის აზრით, ეს სრულიად სხვადასხვა რამეა. მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ვეტერანებს 9 მაისს რომ მინიჭებოდათ „საპატიო მოქალაქის“ წოდება, უფრო უპრიანი იქნებოდა. 26 მაისი არის საქართველოს დამოუკიდებლობის დღე, რომელიც წითელმა არმიამ ფეხქვეშ გათელა და მიწასთან გაასწორა.

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის“ წოდების შემოღებისა და მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 თებერვლის №11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2.დადგენილების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია. დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, ქართული ოცნება - კონსერვატორები“, „ქართული ოცნება - მრწველები“, „ქართული ოცნება - მწვანეები“, „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“.

3.პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 მაისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4.მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვიციანი.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა, ვლადიმერ ნანაძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

მომხრე 8 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ელექტრონული საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 30 ივნისის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **ვერიკო კვიციანიამ**. მან აღნიშნა, რომ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ელექტრონული საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 30 ივნისის №22 დადგენილების (ვებგვერდი 06/07/2016წ, სარეგისტრაციო კოდი: 010250000.35.112.0162735) პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ელექტრონული საქმისწარმოების წესში“ შეტანილ იქნას შემდეგი სახის ცვლილებები:

ა) მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსული დოკუმენტების მიღება-რეგისტრაციას და მათ პირველად დამუშავებას ახორციელებს მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მოქალაქეთა მიღებისა და საქმისწარმოების განყოფილება.“

ბ) მე-4 მუხლის მე-11 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„11. მატერიალური სახით შემოსული დოკუმენტების დედნები ინახება მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მოქალაქეთა მიღებისა და საქმისწარმოების განყოფილებაში.“

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ელექტრონული საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 30 ივნისის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.

2. დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, ქართული ოცნება - კონსერვატორები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ქართული ოცნება - მწვანეები“, „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“. 3. პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 მაისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვიციანი.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა, ვლადიმერ ნანაძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

მომხრე 8 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2018 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა, **ლევან ჩხაიძემ**. მან აღნიშნა, რომ „სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტებიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად განსახილველად და მოსაწონებლად წარმოდგენილია ზემოთ აღნიშნული ფონდიდან 2018 წელს დასაფინანსებელი პროექტი, რომლის მიხედვითაც განხორციელდება ჭადრაკის სახლის სრული რეაბილიტაცია. პროექტის ღირებულება შეადგენს 86416 ლარს.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2018 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია.

2. განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციას – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, ქართული ოცნება - კონსერვატორები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ქართული ოცნება - მწვანეები“, „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“.

3.პროექტი კომისიისა და ფრაქციის მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 მაისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ლევან ჩხაიძე.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა, ვლადიმერ ნანაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 8 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N39 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, **მამუკა ვადაჭკორიამ**. მან აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნული განკარგულების ცვლილების პროექტის მომზადება განაპირობა სამართლებრივი აქტით დამტკიცებული, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მოძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში არსებული მოძრავი ქონების (ავტომანქანების) შეფასებამ და შემდგომ მისი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მოძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმაში გადატანამ.

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N39 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ პროექტის დამტკიცების შემდეგ, მუნიციპალიტეტის მერიას მიენიჭება უფლებამოსილება განკარგოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მოძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმაში არსებული მოძრავი ქონება და განახორციელოს მისი პრივატიზება.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის, **ემზარ თევდორაძის** თქმით, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში, მათ შორის აცანაშიც, არის უსახური, ავარიული შენობა-ნაგებობები, რომლებიც ექვემდებარება დემონტაჟს. მან მიმართა მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს, რომ ეს ობიექტები არის მუნიციპალური საკუთრება. აქედან გამომდინარე, მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ მერიის ზედამხედველობის სამსახურთან ერთად უნდა მოხდეს საკითხის შესწავლა, რათა მოგვარდეს აღნიშნული პრობლემა.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N39 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.

2.განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“, ქართული ოცნება-კონსერვატორები“, „ქართული ოცნება-მრეწველები“, „ქართული ოცნება-მწვანეები“, „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“.

3.პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 მაისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4.მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი მამუკა ვადაჭკორია.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა, ვლადიმერ ნანაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 8 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მერვე საკითხზე: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიში სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიაძე**. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2018 წლის I კვარტალში მობილიზებულია სულ შემოსავლები საგადასახადო, არასაგადასახადო და არაფინანსური აქტივების კლებიდან 273.6 ათ. ლარი რაც წლიური გეგმის 11.5%-ს შეადგენს, მათ შორის საგადასახადო შემოსავლები შესრულებულია 7.7%, აქედან საშემოსავლო გადასახადის სახით შემოსავალმა 39.2 ათ. ლარი შეადგინა /8.72%/, საწარმოთა ქონების გადასახადის საკასო შესრულებამ 11.4 ათ. ლარი შეადგინა /2.8%/, სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადის საკასო შესრულებამ 34.5 ათ. ლარი /69.1%/, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის 18.9 ათ. ლარი /4.3%/, არასაგადასახადო შემოსავლების საკასო შესრულებამ შეადგინა 169.1 ათ. ლარი და გეგმა წლიურთან მიმართებაში 18.5%-ით არის შესრულებული, აქედან; ბუნებრივი რესურსების სარგებლობიდან მიღებულია 20.9 ათ. ლარი გეგმა წლიურთან მიმართებაში შესრულებულია 13.0%-ით, შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან მიღებულია 12.5 ათ. ლარი, გეგმა შესრულებულია 125.2%, სანებართვო მოსაკრებლის შემოსავალი 0.3 ათ. ლარს /3.8%/, მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებიდან მიღებულია 1.7 ათ. ლარი გეგმა შესრულებულია 13.8%-ით, შემოსავლები მომსახურების გაწევიდან 8.8 ათ. ლარს შეადგენს /42.2%/, შემოსავალი ჯარიმები, სანქციები და საურავებიდან მიღებულია 121.7 ათ. ლარი, გეგმა შესრულებულია 17.4%-ით, არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებულია 0.1 ათ. ლარი გეგმა შესრულებულია 0.2%-ით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს ფინანსური დახმარების სახით მიღებული აქვს 1614.6 ათ. ლარი ანუ წლიური გეგმის 21.1% აქედან გათანაბრებითი ტრანსფერი 1559.7 ათ. ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი 54.9 ათ. ლარი, ანუ სულ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შემოსავლების სახით I კვარტლის განმავლობაში მიღებულია 1898.4 ათ. ლარი ანუ წლიური გეგმის 18.8%-ი.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაწეული იქნა 2272.0 ათ. ლარის ხარჯი: მათ შორის შრომის ანაზღაურებაზე მიმართულია 409.0 ათ. ლარი, ბიუჯეტით გაწეული ხარჯების 18,0%-ი, შტატგარეშე მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურებაზე 26.1 ათ. ლარი გაწეული ხარჯის 1,15%-ი, მივლინების ხარჯების დაფინანსებაზე 1.2 ათ. ლარი, ოფისის ხარჯების დაფინანსებაზე 87.6 ათ. ლარი, /ხარჯის 3,86%-ის/, ტრანსპორტის მოვლა შენახვის ხარჯებზე 26.5 ათ.ლარი /ხარჯის 1,17%-ი/, სხვა საქონელი და მომსახურების ხარჯებზე 33.6 ათ.ლარი /ხარჯის 1,48%-ი/, არაფინანსური აქტივების ხარჯვაზე მიიმართა 325.8 ათ.ლარი /ხარჯის 14,34%-ი/, სუფსიდირების წესით დაფინანსებაზე 1215.8 ათ.ლარი /ხარჯის 53,51-ი/, საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამის დაფინანსებაზე 68.5 ათ.ლარი /ხარჯები 3,01%-ი, სხვა ხარჯის მუხლი 1,3 ათ. ლარი /ხარჯის 0,06-ი/ ვალდებულების კლების მუხლიდან ხარჯებმა 76.4 ათ.ლარი შეადგინა /ხარჯების 3,36%-ი.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფუნქციონირებისათვის გაწეული იქნა 165,3 ათ.ლარის ხარჯი ანუ ბიუჯეტით გაწეული ხარჯის 7.3%-ი, მუნიციპალიტეტის გამგეობის ფუნქციონირებისათვის გაწეული იქნა 346,3 ათ. ლარი ბიუჯეტის ხარჯების 15.2%-ი, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის დაფინანსებაზე მიიმართა 24,7 ათ. ლარი ხარჯების 1.1%-ი, ქალაქის ტერიტორიაზე მუნიციპალურ შენობა-ნაგებობაში დახარჯული წყლის ხარჯზე მიიმართა 0,4 ათ. ლარი, დასუფთავების და ნარჩენების გატანაზე მიიმართა 131,5 ათ. ლარი ხარჯების 5,8%, გარე განათების მოვლის ღონისძიებაზე 123,5 ათ. ლარი ხარჯების 5,4%, გარე განათებაზე გახარჯული ელექტრო ენერჯის ხარჯზე 50,0 ათ. ლარი ხარჯების 2,2%-ი, სოც. კულტურული ღონისძიებების დაფინანსებაზე 5,3 ათ. ლარი ხარჯების 0,2%-ი, რელიგიის მხარდაჭერის პროგრამაზე მიიმართა 20,0 ათ. ლარი ხარჯების 0,9%-ი, ა(ა)იპ საგარეო-ეკონომიკური კავშირთა დეპარტამენტის, ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმის და მეწარმეობის განვითარების ცენტრის შენახვაზე გახარჯულია 35,5 ათ. ლარი 1,6%-ი, ა(ა)იპ სკოლამდელი საგანმანათლებლო საადმინისტრაციო ცენტრი დაფინანსდა 465,5 ათ. ლარით ხარჯების 20,5%-ი, ა(ა)იპ ლანჩხუთის სპორტული ცენტრის დაფინანსებაზე 82,6 ათ. ლარი ხარჯების 3,6%-ი, ა(ა)იპ ლანჩხუთის ბავშვთა საფეხბურთო სკოლის დაფინანსებამ 28.0 ათ. ლარი შეადგინა ხარჯების 1.3%-ი, ა(ა)იპ ლანჩხუთის გოგონათა ექსპერიმენტალური სარაგბო საფეხბურთო სკოლის დაფინანსებამ 14.1 ათ. ლარი, ხარჯების 0,6%-ი, ა(ა)იპ ლანჩხუთის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების დაფინანსებამ 234.1 ათ. ლარი ხარჯების 11.0%-ი, შპს ლანჩხუთის დაფინანსებამ 59.0 ათ. ლარი ხარჯების 2.7%-ი, ა(ა)იპ ლანჩხუთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დაფინანსებაზე გაიხარჯა 28.4 ათ. ლარი ხარჯების 1.3%-ი, ა(ა)იპ მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფისათვის პროგრამაზე გაიხარჯა 20.3 ათ. ლარი ხარჯების 0,9%-ი, სოციალურ პროგრამების დაფინანსებაზე გაიხარჯა 99.9 ათასი ლარი ხარჯების /4.7%/, ინფრასტრუქტურის ობიექტების დაფინანსებაზე გაიხარჯა 241.7 ათ. ლარი ხარჯების /11.3%/, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის დაფინანსება 61,5 ათ. ლარია ხარჯების 2,8%-ი, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრის დაფინანსება 20,9 ათ. ლარია ხარჯების 0,9%-ი. უნდა აღინიშნოს, რომ დამტკიცებულ ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსებისათვის /5%/ და ტექ.ზედამხედველობის მომსახურების ხარჯი /4,85%/ ხარჯების დაფინანსებისათვის თანხები. იმის გამო, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო ბაზა ამის შესაძლებლობას არ იძლევა. საკითხთან დაკავშირებით მიზანშეწოლილია არგუმენტირებული წინადადება უნდა მომზადდეს და წარდგენილი იქნას შესაბამის სამინისტროებში.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

ცნობად იქნას მიღებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიში.

დღის წესრიგის მეცხრე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის N54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიაძე**. მან აღნიშნა, რომ 2018 წლის 18 იანვრის N136 განკარგულებაში შევიდა ცვლილება მიმდინარე წლის 3 მაისის N952 განკარგულებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყო საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2558849 ლარი; მათ შორის: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ჯიხეთის დედათა მონასტერთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია 942278 ლარი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში აკეთის, აცანის, ჩიბათის, ნინოშვილის, ნიგვზიანის, მამათის და სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულებში რკინაბეტონის სანიაღვრე არხების, რკინა ბეტონისა და ასფალტო - ბეტონის საფარის მოწყობა 768297 ლარი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ბავშვთა საფეხბურთო სკოლის შენობის რეაბილიტაცია 848274 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 3 მაისის N957 განკარგულებით სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 180000 ლარი. სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის წერილის საფუძველზე გამოყოფილი თანხა მიიმართება სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაციაზე.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „კეთლმოწყობისა და მომსახურების ცენტრი“-ს წერილის საფუძველზე მიზანშეწოლილად ჩაითვალა შეუმცირდეს სუბსიდირების დაფინანსება 17800 ლარით და გაიზარდოს არაფინანსური აქტივების მუხლი 17800 ლარით.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილი** აღნიშნა, რომ ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „კეთლმოწყობისა და მომსახურების ცენტრი“-სთვის არ ხდება ბიუჯეტის გაზრდა, არამედ ფინანსები ერთი მუხლიდან გადადის მეორე მუხლში. აღნიშნულ სამსახურს ფინანსური კუთხით აქვს გარკვეული ეკონომია, რომლის ხარჯზეც შეიძენენ ტრანსპორტს, რათა დაკისრებული სამუშაოების შესასრულებლად მოხდეს სამსახურის თანამშრომლების გადაყვანა.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის, **ემზარ თევდორაძის** თქმით, ასევე შესაძენია მუნიციპალიტეტის მერისა და საკრებულოს თავმჯდომარის ავტომანქანები, რადგან სატრანსპორტო საშუალების გაუმართაობის გამო ისინი ელემენტარულად ვერ გადაადგილდებიან, რასაც ბიუროს წევრები ერთხმად დაეთანხმნენ.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე, **გიორგი ჩახვამე** დაეთანხმა საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარეს და აღნიშნა, რომ ეს ფუფუნება არაა. დაუშვებელია, რომ მუნიციპალიტეტის მერი და საკრებულოს თავმჯდომარე გადაადგილდებოდნენ ასეთი გაუმართავი ავტომობილებით, რომლებიც ფაქტიურად რეაბილიტაციას აღარ

ექვემდებარებიან. რაც შეეხება ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „კეთლმოწყობისა და მომსახურების ცენტრს“, საკრებულოს წევრის თქმით, ეს სამსახური სათანადოდ ასრულებს მასზე დაკისრებულ სამუშაოებს, რაც ნამდვილად თვალსაჩინოა. ბიუროს წევრების აზრით, ამ სამსახურის საქმიანობა აღსანიშნავია და მადლობას იმსახურებს.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარემ, **ბესიკ კუპრაძემ** აღნიშნა, რომ ნამდვილად სამარცხვინოა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას ყავდეს ასეთი გაუმართავი და ავარიული მანქანები. მისი თქმით, არც ერთ მუნიციპალიტეტში მსგავს ფაქტს არ ექნება ადგილი.

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **ვერიკო კვიციანიამ** აღნიშნა, რომ ეს საკითხი აქამდეც უნდა მოგვარებულიყო, რადგან ავტომანქანების შეძენის აუცილებლობასთან დაკავშირებით ორი აზრი არ არსებობს.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი, **როლანდ ლაშხია** დაეთანხმა საკრებულოს წევრებს და აღნიშნა, რომ მოთხოვნა მუნიციპალიტეტის მერისა და საკრებულოს თავმჯდომარის ავტომანქანების შესაძენად ნამდვილად სამართლიანია. მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა და საკანონმდებლო ხელისუფლებამ სათანადო თხოვნით უნდა მიმართოს მთავრობას, რათა მოძიებულ იქნას შესაბამისი თანხები.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტის მიმართ სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის N54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 მაისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

2. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა, ვლადიმერ ნანაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 8 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

სხვადასხვა საკითხები:

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარემ, **გიორგი ჩახვაძემ** უკმაყოფილება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ ჩიხათის ადმინისტრაციულ ერთეულში 4 წელია დაწყებულია სტადიონის რეაბილიტაცია. უკვე დახარჯულია 15 000 ლარი, რომელიც წყალში არ უნდა

გადაიყაროს. დეპუტატი არ ითხოვს ხელოვნურსაფარიანი სტადიონის გაკეთებას, არამედ შეიძლება მოიზინოს ტერიტორია და დაიგოს ასფალტის საფარი.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ მხოლოდ ქალაქში არსებული სტადიონების რეაბილიტაციას ესაჭიროება დაახლოებით 200 000 ლარი. ის წინააღმდეგი არ არის ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში სტადიონის გაკეთების, მაგრამ ამ ეტაპზე საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარეს ვერაფერს ვერ დაპირდება, რადგან ფინანსები ამის საშუალებას არ იძლევა, მით უმეტეს, რომ ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში არის რამდენიმე სხვა სტადიონი. მუნიციპალიტეტის მერის თქმით, უფრო კარგი იქნება, თუ მოეწყობა ბუნებრივი საფარი, ვინაიდან ხელოვნური ხალიჩის შექმნა ძალიან დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. მიმდინარე ეტაპისთვის თუკი რაიმე სახსრები გამოიძებნა, ქალაქის სტადიონებიდან ერთი მაინც უნდა გაკეთდეს.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარემ, **ზაზა წულაძემ** აღნიშნა, რომ გურიის რეგიონალური კარატეს ფედერაციის ხელმძღვანელს, მერაბ თურქიას აქვს დიდი წარმატებები, ამიტომ მას ხელშეწყობა და ყურადღების გამახვილება ჭირდება. მის აღზრდილებში არიან მსოფლიო, ევროპის და საქართველოს ჩემპიონები. საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველები“-ს თავმჯდომარესთან, სპარტაკ კვაჭაძესთან ერთად ის იმყოფებოდა ადგილზე და იცის, როგორი გაუსაძლისი სიტუაციაა სავარჯიშო დარბაზში. საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მოუწოდა დაინტერესდნენ, თუ რა პირობებში უწევს მუშაობა ამ ადამიანს. ასევე, მუნიციპალიტეტის მერს მიმართა თხოვნით, რომ შესაძლებლობიდან გამომდინარე მოიძებნოს გარკვეული თანხა, რათა ბოლოსდაბოლოს მოგვარდეს აღნიშნული პრობლემა. გაკეთებულია ხარჯთაღრიცხვა და ამ ეტაპისთვის საუბარია 27 000 ლარზე.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარის თქმით, ასევე ძალიან კარგი იქნება, თუ მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის წინ გაკეთდება წყლის სოკო, რადგან შენობაში მწვავედ დგას სასმელი წყლის პრობლემა.

მუნიციპალიტეტის მერი, **ალექსანდრე სარიშვილი** დაეთანხმა საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარეს და აღნიშნა, რომ სპორტის ეს სახეობა მუნიციპალიტეტში ძალიან წარმატებულია. მერაბ თურქიას ნამდვილად ჭირდება მხარდაჭერა და გვერდით დგომა. მან მიმართა საკრებულოს წევრებს, რომ ერთად გადახედონ ბიუჯეტს, თუ საიდან შეიძლება შესაბამისი ფინანსური რესურსის მოძიება, რათა დაეხმარონ ამ ადამიანს.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარემ, **ბესიკ კუპრაძემ** აღნიშნა, რომ ავტობანის მშენებლობასთან დაკავშირებით ამაღლდა გზები, რის შედეგადაც წვიმიან ამინდში იტბორება მიმდებარე ტერიტორიები, რაც პრობლემას ქმნის როგორც მოსახლეობის, ასევე პირუტყვის გადაადგილების დროს. ყოველივე ეს იწვევს ადგილობრივი მაცხოვრებლების სამართლიან უკმაყოფილებას. მოსახლეობის მოთხოვნაა, ჩინური კომპანიის მიერ მოგვარებული იქნას აღნიშნული პრობლემა.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში, ერთი მოსახლე საჭიროებს გასახლებას. ოჯახში ცხოვრობს სამი ქალბატონი. არაერთგზის შემოწმდა მათი საცხოვრებელი კარ-მიდამო, მაგრამ დღემდე რეაგირება არ არის. აუცილებლად ყურადღება მისაქცევია ეს საკითხი, სანამ რაიმე უბედური შემთხვევა არ მომხდარა.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარე, **ზაზა წულაძე** დაეთანხმა საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარეს და აღნიშნა, რომ ყველგან ასეთი მდგომარეობაა. მისი თქმით, ჩინური კომპანიის მესვეურებს აქვთ ძალიან ცინიკური და გულგრილი განწყობა ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ. წინა დღით მას მიაწოდეს ინფორმაცია, რომ კომპანიის წარმომადგენლები ტექნიკის საშუალებით ანგრევდნენ და ანადგურებდნენ სოფლის პროგრამით გაკეთებულ საძოვრის დაახლოებით 300-400 მეტრ სიგრძის ღობეს. საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარე დროულად მივიდა ადგილზე და შეაჩერა ჩინური კომპანიის წარმომადგენლები. ყველა საბალახო თავის დროზე იყო შემოღობილი. დღეს კი აბსოლუტურად ყველა ღობე გახსნილია. ყოველივე ეს იწვევს ადგილობრივი მოსახლეობის სამართლიან აღშფოთებას და გულისწყრომას. მათი მოთხოვნაა, დროულად მიექცეს ამ საკითხს ყურადღება და გატარებულ იქნას სათანადო ზომები. წინააღმდეგ შემთხვევაში მიმართავენ პროტესტის უკიდურეს ფორმებს.

ამით ბიუროს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ვლადიმერ ნანაძე



საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო